



შპს „გეო ლატექსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31
დეკემბრით დასრულებული საანგარიშო წლისთვის

6-18 გვერდებზე წამოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელი ნაწილია



სარჩევი:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6



შპს გეო ლატექსი
კონსოლიდირებული ფინანსური
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2020	2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	4,037,006	4,752,686
საინვესტიციო ქონება	5	8,947,526	9,676,236
არამატერიალური აქტივები		24,384	26,074
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,008,916	14,454,996
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	155,264	22,218
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	1,848,790	1,542,837
მარაგები	8	3,130,562	4,167,702
სულ მიმდინარე აქტივები		5,134,616	5,732,758
სულ აქტივები		18,143,532	20,187,754
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გადაფასების რეზერვი		1,996,624	2,234,676
გაუნაწილებელი მოგება		5,323,977	8,587,124
სულ კაპიტალი		7,320,601	10,821,800
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	8,177,970	6,284,699
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8,177,970	6,284,699
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9	1,925,856	2,089,669
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	719,105	991,586
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,644,961	3,081,254
სულ ვალდებულებები		10,822,931	9,365,954
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		18,143,532	20,187,754

შპს გეო ლატექსის დირექტორი

/მურთაზი მიხელაშვილი/



შპს გეო ლატექსი
კონსოლიდირებული ფინანსური
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2020	2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	4,037,006	4,752,686
საინვესტიციო ქონება	5	8,947,526	9,676,236
არამატერიალური აქტივები		24,384	26,074
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,008,916	14,454,996
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	155,264	22,218
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	1,848,790	1,542,837
მარაგები	8	3,130,562	4,167,702
სულ მიმდინარე აქტივები		5,134,616	5,732,758
სულ აქტივები		18,143,532	20,187,754
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გადაფასების რეზერვი		1,996,624	2,234,676
გაუნაწილებელი მოგება		5,323,977	8,587,124
სულ კაპიტალი		7,320,601	10,821,800
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	8,177,970	6,284,699
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8,177,970	6,284,699
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9	1,925,856	2,089,669
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	719,105	991,586
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,644,961	3,081,254
სულ ვალდებულებები		10,822,931	9,365,954
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		18,143,532	20,187,754

შპს გეო ლატექსის დირექტორი

/მურთაზი მიხელაშვილი/



შპს გეო ლატექსი

კონსოლიდირებული მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2020	2021
ამონაგები	11	7,013,067	7,162,055
თვითღირებულება		(3,478,146)	(3,479,192)
საერთო მოგება		3,534,920	3,682,863
სხვა შემოსავალი	12	51,609	835,027
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	(1,206,200)	(1,310,988)
მიწოდების დანახარჯები	14	(174,469)	(218,712)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	15	(2,711,497)	1,196,548
სხვა ხარჯები	16	(321,167)	(155,056)
საოპერაციო მოგება		(826,803)	4,029,683
ფინანსური შემოსავალი		513	5,673
ფინანსური ხარჯი		(435,056)	(421,336)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(434,544)	(415,663)
მოგება გადასახადამდე		(1,261,347)	3,614,021
მოგების გადასახადი		(12,303)	(25,084)
წმინდა მოგება		(1,273,650)	3,588,937
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		(395,045)	238,051
მთლიანი სრული შემოსავალი		(1,668,695)	3,826,988

შპს გეო ლატექსის დირექტორი

/მურთაზი მიხელაშვილი/



შპს გეო ლატექსი

კონსოლიდირებული მოგება - ზარალისა და სხვა სრული
შემოსავლების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2020	2021
ამონაგები	11	7,013,067	7,162,055
თვითღირებულება		(3,478,146)	(3,479,192)
საერთო მოგება		3,534,920	3,682,863
სხვა შემოსავალი	12	51,609	835,027
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	(1,206,200)	(1,310,988)
მიწოდების დანახარჯები	14	(174,469)	(218,712)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	15	(2,711,497)	1,196,548
სხვა ხარჯები	16	(321,167)	(155,056)
საოპერაციო მოგება		(826,803)	4,029,683
ფინანსური შემოსავალი		513	5,673
ფინანსური ხარჯი		(435,056)	(421,336)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(434,544)	(415,663)
მოგება გადასახადამდე		(1,261,347)	3,614,021
მოგების გადასახადი		(12,303)	(25,084)
წმინდა მოგება		(1,273,650)	3,588,937
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		(395,045)	238,051
მთლიანი სრული შემოსავალი		(1,668,695)	3,826,988

შპს გეო ლატექსის დირექტორი

/მურთაზი მიხელაშვილი/



შპს გეო ლატექსი

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით

	გადაფასების რეზერვი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	2,391,669	-	6,822,870	9,214,540
წმინდა მოგება	-	-	(1,273,650)	(1,273,650)
გადაფასების რეზერვის ცვლილება	(395,045)	-	-	(395,045)
პერიოდის სრული შემოსავალი	(395,045)	-	(1,273,650)	(1,668,695)
გაცემული დივიდენდი	-	-	(225,244)	(225,244)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	1,996,624	-	5,323,977	7,320,601
წმინდა მოგება	-	-	3,588,937	3,588,937
გადაფასების რეზერვის ცვლილება	238,051	-	-	238,051
პერიოდის სრული შემოსავალი	238,051	-	3,588,937	3,826,988
გაცემული დივიდენდი	-	-	(325,789)	(325,789)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	2,234,676	-	8,587,124	10,821,800

შპს გეო ლატექსის დირექტორი

/მურთაზი მიხელაშვილი/



შპს გეო ლატექსი

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით

	გადაფასების რეზერვი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	2,391,669	-	6,822,870	9,214,540
წმინდა მოგება	-	-	(1,273,650)	(1,273,650)
გადაფასების რეზერვის ცვლილება	(395,045)	-	-	(395,045)
პერიოდის სრული შემოსავალი	(395,045)	-	(1,273,650)	(1,668,695)
გაცემული დივიდენდი	-	-	(225,244)	(225,244)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	1,996,624	-	5,323,977	7,320,601
წმინდა მოგება	-	-	3,588,937	3,588,937
გადაფასების რეზერვის ცვლილება	238,051	-	-	238,051
პერიოდის სრული შემოსავალი	238,051	-	3,588,937	3,826,988
გაცემული დივიდენდი	-	-	(325,789)	(325,789)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	2,234,676	-	8,587,124	10,821,800

შპს გეო ლატექსის დირექტორი

/მურთაზი მიხეილაშვილი/



შპს „გეო ლატექსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გეო ლატექსი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2007 წლის 31 მაისს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, ფიზიკური პირები: მურთაზ მიხელაშვილი და ირაკლი მიხელაშვილი, წარმოადგენენ კომპანიის 50%-50% წილის მფლობელებს.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის დისტრიბუცია/რეალიზაცია და ფართების იჯარით გაცემა.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქალაქ თბილისში.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია - ქ.თბილისი დიდი დილომი დ. თავდადებულის ქ. 30

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

შენიშვნა 2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

ჯგუფი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №6“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის.

ჯგუფის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ჯგუფი ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი (GEL). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით.

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. ჯგუფის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეზღუდულ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

3.2 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ჯგუფი ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. ჯგუფი საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე.

შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

3.3 პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ✓ კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- ✓ კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც,
- ✓ ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- ✓ შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- ✓ მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- ✓ შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების

საიმედოდ განსაზღვრა.

3.4 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკურისარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3.5 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. ჯგუფი ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით.

3.6 მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი სხვაობები და წარმოქმნას გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის, ან ვალდებულების სახით.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანია ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება სავალდებულო მოვლენა.

სავალდებულო მოვლენა არის ქმედება, რომელიც იწვევს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას. სავალდებულო ქმედება მოიცავს დივიდენდების განაწილებას, ხარჯებსა და გადახდებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე პრივილეგირებულ საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსებს, უსაბუთო ხარჯებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებს.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

3.7 მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში მოთხოვნა წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. შემდგომ პერიოდში ჯგუფი ახდენს მოთხოვნების ტესტირებას გაუფასურებაზე და დებიტორების გადახდის ქცევის სტატისტიკის საფუძველზე, მას შემუშავებული აქვს გაუფასურების ზარალის განაკვეთები ვადაგადაცილებული დღეების კატეგორიების მიხედვით. ამასთან საწარმო ისეთ დებიტორულ დავალიანებას რომლის ნაშთი მთლიანი ნაშთის 2%-ს აღემატება, გაუფასურებაზე აფასებს ინდივიდუალურად.

3.7 ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. ჯგუფი თვითღირებულების მოდელს იყენებს ძირითადი საშუალებების ყველა კლასისათვის, გარდა შენობებისა. შენობების აღირიცხვისას გადაფასების მოდელი გამოიყენება. გადაფასებისას წარმოშობილი ნებისმიერ შედეგი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში სხვა შემოსავალის ნაწილში აისახება.

ძირითად საშუალებებს ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება. ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის

გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

პერიოდში. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

3.8 იჯარა

ჯგუფი ფლობს ფართებს რომლებიც გაცემულია საოპერაციო იჯარით და იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება თანაბარზომიერად, იჯარის მთელი ვადის განმავლობაში, თუნდაც ფულადი შემოსულობები დაფუძნებული არ იყოს ამ მეთოდზე.

3.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ჩამოწერისათვის კომპანია იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

3.10 კონსოლიდაციის საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საოპერაციო შედეგებისა და კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობის უწყისისგან.

შვილობილი საწარმოები სრულად კონსოლიდირდება შესყიდვის თარიღიდან, რომელიც წარმოადგენს თარიღს როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს და წყვეტს კონსოლიდირებას, როდესაც ჯგუფი დაკარგავს კონტროლს. შვილობილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, საოპერაციო შედეგები და საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება მომზადებულია იმავე სააღრიცხვო პერიოდისთვის რაც კომპანიისა, სადაც გამოყენებულია თანმიმდევრული სააღრიცხვო პოლიტიკა. ყველა შიდა ჯგუფური ბალანსები, შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და არარეალიზებული შიდა ჯგუფური მოგება და ზარალი და დივიდენდები სრულად ელიმინირდება.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ საწარმოებს:

კომპანიის დასახელება	2021 წლისთვის ფლობილი ხმის უფლებისა და კაპიტალის პროპორცია		საქმიანობისა და რეგისტრაციის ადგილი	რეგისტრაციის წელი
	2021	2020		
შპს სქაი ფუდი 400269829	100%	100%	თბილისი, საქართველო	2019

3.11 უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულია



წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

	31/12/2021	31/12/2020
1 USD/GEL	3.0976	3.2766
1 EUR/GEL	3.5040	4.0233

3.12 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. შემდგომ, ის ფასდება რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. თუმცა, თუ ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს, ის ფასდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგება განცალკევებით.

3.13 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.



შენიშვნა 4 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა - დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და მოწყობილობა	საოფისე აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2020	1,267,910	2,688,967	242,891	427,657	196,799	68,274	157,932	5,050,430
შემოსვლა	-	-	538,180	123,806	48,674	7,391	-	718,051
აფასება	89,685	148,366						238,051
გასვლა	-	-	-	(60,404)	-	(991)	-	(61,394)
31 დეკემბერი 2021	1,357,595	2,837,334	781,071	491,060	245,473	74,674	157,932	5,945,138
ცვეთა და გაუფასურება								
31 დეკემბერი 2020	(177,789)	(307,255)	(64,266)	(298,281)	(83,656)	(38,803)	(43,373)	(1,013,424)
პერიოდის ცვეთა	-	(80,282)	(43,618)	(59,952)	(33,691)	(11,648)	(4,376)	(233,568)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	53,549	-	991	-	53,549
31 დეკემბერი 2021	(177,789)	(387,538)	(107,885)	(304,683)	(117,347)	(49,461)	(47,750)	(977,895)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2020	1,090,121	2,381,712	178,625	129,376	113,143	29,470	114,558	4,037,006
31 დეკემბერი 2021	1,179,806	2,449,796	673,186	186,376	128,126	25,213	110,182	4,752,686

შენიშვნა 5

საინვესტიციო ქონება

რეალური ღირებულება 31.12.2019	9,146,735
მოგება/(ზარალი) რეალური ღირებულების ცვლილებიდან	(201,486)
შემოსვლა	-
კაპიტალიზირებადი რემონტი	2,277
რეალური ღირებულება 31.12.2020	8,947,526
მოგება/(ზარალი) რეალური ღირებულების ცვლილებიდან	728,710
შემოსვლა	-
კაპიტალიზირებადი რემონტი	-
რეალური ღირებულება 31.12.2021	9,676,236



შენიშვნა 6

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების
ეკვივალენტები

	2021	2020
ნაღდი ფული საღაროში	421	3,843
ეროვნული ვალუტა ბანკში	18,454	30,652
უცხოური ვალუტა ბანკში	3,344	120,769
სულ	2,218	155,264

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1,373,363	1,295,344
გადახდილი ავანსები	67,984	419,068
წინასწარ გადახდილი გადასახადები	101,490	134,377
სულ	1,542,837	1,848,790

შენიშვნა 8

მარაგები

	2021	2020
საქონელი	3,796,681	2,844,910
ნედლეული	344,971	224,876
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	26,051	60,777
სულ	4,167,702	3,130,562

შენიშვნა 9

სესხები

	2021	2020
გრძელვადიანი		
საბანკო სესხები	6,284,699	8,177,970
	6,284,699	8,177,970
მოკლევადიანი		
საკრედიტო ხაზი	1,251,955	795,912
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	837,714	1,129,944
	2,089,669	1,925,856
სულ სესხები	8,374,368	10,103,826

გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადაა 2029 წლის 3 მაისი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 4.5%. სესხის ვალუტა ევრო. გრძელვადიანი საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს ძირითადი საშუალებებით (შენიშვნა 4). კომპანიას აქვს საკრედიტო ხაზი გახსნილი სს პროკრედიტ ბანკში, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს ათვისებულ თანხაზე 4.5% და აუთვისებელზე 0.25%.

შენიშვნა 10

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები	826,230	675,658
მიღებული ავანსები	165,356	43,448
სულ	991,586	719,105

შენიშვნა 11

ამონაგები

	2021	2020
საქონლის გაყიდვა	6,209,376	6,135,134
მომსახურების გაწევა	8,209	12,099
იჯარით გაცემა	944,470	865,834
სულ	7,162,055	7,013,067

შენიშვნა 12

სხვა შემოსავალი

	2021	2020
გრანტის სახით მიღებული შემოსავალი	27,260	-
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-	27,371
შემოსულობა საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან	728,710	-
არასაოპერაციო მოგება	79,057	24,238
სულ	835,027	51,609

შენიშვნა 13

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	(346,517)	(573,720)
მივლინების ხარჯები	(16,787)	(11,865)
სხვა ხარჯი	(348,527)	(99,397)
იჯარის ხარჯი	(14,060)	(38,624)
ოფისის ხარჯი	(24,901)	(13,489)
კომუნალური ხარჯები	(108,204)	(86,942)
კომუნიკაციის ხარჯები	(14,236)	(17,306)
რემონტი	(102,116)	(86,367)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(97,926)	(61,401)
ცვეთა და ამორტიზაცია	(237,714)	(217,090)
სულ	(1,310,988)	(1,206,200)



შენიშვნა 14

მიწოდების ხარჯები

	2021	2020
რეკლამის ხარჯი	(10,856)	(14,887)
მარკეტინგული ხარჯები	(102,885)	(85,131)
ტრანსპორტირება და შენახვა	(104,970)	(74,451)
სულ	(218,712)	(174,469)

შენიშვნა 15

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2021	2020
საკუროს სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	1,196,548	(2,711,497)
არასაოპერაციო მოგება (ზარალი)	-	-
სულ	1,196,548	(2,711,497)

შენიშვნა 16

სხვა ხარჯები

	2021	2020
ჯარიმები და პირგასამტეხლობები	(5,603)	(1,121)
საფოსტო გზავნილები	(544)	(674)
სხვა ხარჯები	(42,718)	(6,432)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(93)	(3,759)
ქონების დაზღვევა	(16,247)	(15,349)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(89,851)	(92,347)
ზარალი საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან	-	(201,486)
სულ	(155,056)	(321,167)

შენიშვნა 17

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვრის მახლობლად რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს საზღვარი. საერთაშორისო დონეზე განხილული ომის აგრესია და შეჭრა არის ყველაზე დიდი სამხედრო თავდასხმა ევროპულ სახელმწიფოზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. აღნიშნულმა ომმა ევროპაში ყველაზე მასშტაბური ლტოლვილთა კრიზისი გამოიწვია, 3.7 მილიონზე მეტმა უკრაინელმა დატოვა ქვეყანა და მილიონობით ადამიანმა მიატოვა თავისი სახლი. უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ რუსეთს მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესეს. ხელმძღვანელობა უკრაინის ომს არაკორექტირებულ საბალანსო უწყისის შედეგის შემდგომ მოვლენად მიიჩნევს. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ აღნიშნული არ მოახდენს თვალსაჩინო გავლენას კომპანიის საქმიანობაზე. იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს სრული გავლენა, რომელიც შეიძლება მოახდინოს კომპანიაზე, რადგან ბუნდოვანია ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბი. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ სიტუაციას.

შენიშვნა 18

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2022 წლის 21 სექტემბერი.